წერილის ნომერი:**03-37240504**
თარიღი: **19/02/2024**

ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გელა ჩავლეშვილის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N53 განკარგულების თანახმად განისაზღვრულია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობა 15 საკრებულოს წევრით.

ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიაში შექმნილია სამი სამუშაო ჯგუფი:

1. ბიუჯეტის შემოსულობების ჯგუფი;
2. ბიუჯეტის ხარჯების ჯგუფი
3. საბიუჯეტო დაგეგმვისა და მართვის ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში კომისია მუშაობდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N18 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის დებულების, 2023 წლის 23 იანვრის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო გეგმისა და საკრებულოს 2023 წლის 30 აგვისტოს N55 განკარგულებით დამტკიცებული კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

კომისიამ ჩაატარა 25 სხდომა(აქედან ორი ერთობლივი სხდომა). სხდომებზე სულ განხილულ იქნა 30 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებიდან გამომდინარე კომისიამ წარადგინა 16 დასკვნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე; ამავდროულად გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში რეკომენდაციების სახით. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 1-2-3 კვარტლების შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ;
- 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ(საანგარიშო პერიოდში შესაბამისი თემატური დასკვნა წარდგენილ იქნა სამჯერ);

- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინადადებების განხილვის შესახებ.

აღვნიშნავთ კომისიის მიერ რეკომენდირებულ რამდენიმე შენიშვნასა და წინადადებას, რომლებიც მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა 2024 წლის ბიუჯეტში:

_2024 წლის ბიუჯეტსა და 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში დამატებით გამოჩნდა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ხარისხობრივი ინდიკატორები. მაგალითად,

პროგრამა „წყლის სისტემის განვითარება“.

- დოკუმენტში წარმოდგენილ აღწერილობით ნაწილს მეტნაკლებად დაემატა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიმართულებები კონკრეტული ლოკაციების მითითებით. ასეთი კონკრეტული ლოკაციები წარმოდგენილია მაგალითად ქვეპროგრამა “კანალიზაციის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია“-ში.

_ქვეპროგრამაში „გზების მოვლა-შენახვა“ აღწერილია ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო და შუალედური შედეგი, რომელიც იძლევა საშუალებას შედარდეს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები(მაგალითად, აღწერილია ორმულად შეკეთებული და შესაკეთებელი გზების ფართობი და მოცულობა, ცდომილების ალბათობა და რისკები).

საანგარიშო პერიოდში კომისია განიხილავდა შემოსულ წერილებსა და კორესპონდენციებს. აღნიშნული განხილვების შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა 3 რეკომენდაცია და წინადადება, რომლებიც შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და სხვა შესაბამის სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებს.

ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში და ყოველ კვარტალურად,კომისია ისმენდა და აფასებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფიანასო-საბიუჯეტო და შიდა აუდიტის სამსახურების ანგარიშებს. ასევე ბიუჯეტის შესრულებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შედეგებს.

აქტიურად ვთანამშრომლობდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასეთი თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგია და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან(USAID) ერთად და საანგარიშო პერიოდში განკარგულებით დამტკიცებული იქნა საკრებულოს მიერ.

მიმდინარე წელს ვგეგმავთ უფრო სრულყოფილი გავხადოთ კომისიებზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტები და უფრო დავხვეწოთ ანგარიშვალდებული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმები.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე